ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3504094

ნომერი: AR1535143

თარიღი : 24.08.2017

გაცემის თარიღი : 30.08.2017

გაცნობის თარიღი : 30.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიკოლოზ ყიფშიძე , N 2ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი შამათავა პ/ნ 01031005656
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხორციელდება არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე არსებული საკომუნიკაციო ნაგებობების (შახტების)გამოყენებით და დგარებზე დაყრდნობით გადახურვის მოწყობა კონსტრუქციული ელემენტების ცვლილებით რეკონსტრუქცია(დაშენებით) "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა დასანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად – აღნიშნული რეკონსტრუქცია არ წარმოადგენს I კლასის რეკონსტრუქციას და არის ისეთი სახის ცვლილება, რაც საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.თქვენს მიერ არჩეული ნომენკლატურა არ შეესაბამება დაგეგმილი სამუშაოებისათვის საჭირო ნომენკლატურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით –მისამართზე www.tas.ge საჭიროა თქვენი მოთხოვნა დააყენოთ პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე და ატვირთოთ დოკუმენტაცია სრულყოფილი სახით შესრულებული.

ნომენკლატურის არჩევისას უნდა აირჩიოთ ახალი ნომენკლატურა – მშენებლობის ნებართვა– სწორად შეავსოთ კლასის განსაზღვრის კალკულატორი (მიუთითეთ მთლიანი შენობის მონაცემები–იმისათვის, რომ საპროექტო ობიექტს მიენჭოს მისი პარამეტრების შესაბამისი კლასი) და ქმედებაში მიუთითეთ –„რეკონსტრუქციის სხვა სახეობა“.

საპროექტო დოკუმენტაციის ატვირთვამდე გაითვალისწინეთ ის გარემოება,რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. საპროექტო მიწის ნაკვეთზე მიწათსარგებლობის გენერალური გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2). "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად, საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთი თავისი პარამეტრებით ვერ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მასზე გავრცელებული ფუნქციური ზონის მოთხოვნებს, საჭიროა, შესაბამისი ახალი განაცხადით მომართოთ სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით ინდივიდუალური პარამეტრების დადგენაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.